

კომუნიკაციების
კომისია

მედიის გასალები
გზამკვლევი მასწავლებლებისთვის - როგორ ჩავრთოთ ფილმები საგაკვეთილო პროცესში

შესავალი

მედიატექსტის კითხვასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მედიაწიგნიერების პრეამბულა. ერთ-ერთი გავრცელებული ვიზუალური მედიის სახეობა კი ზუსტად ფილმებია. ფილმების ანალიზის მეთოდი (MAIA) უკვე წლებია გამოიყენება დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებაში სწავლების პროცესში. ეს მეთოდი საკმაოდ მარტივია.

ფილმი არის მოძრავი სურათებისგან შემდგარი აუდიო-ვიზუალური სტიმული. მოძრავი სურათები არის მნიშვნელოვანი გამაშუალებელი იდეების კომუნიკაციისთვის. ფილმებს შეუძლიათ სხვადასხვა გზით მოახდინონ გავლენა საზოგადოების დამოკიდებულებებსა და აზროვნებაზე. ეს გავლენა შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც. დღეს უკვე მრავლად შევხვდებით ფილმების მეშვეობით სხვადასხვა იმპლიციტური (ქვეცნობიერი) გზავნილების გავრცელებას. შესაბამისად, ფილმის სწორი გააზრება, შერჩევა და სასწავლო პროცესში მისი ადეკვატურად გამოყენება, დღითიდღე უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ფილმი ეხმარება მოზარდს:

- განივითაროს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება;
- შეიძინოს ცოდნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით;
- გაიღრმაოს ინტერესები სხვადასხვა მიმართულებით;
- იდენტიფიკაცია გააკეთოს სწორ როლურ მოდელებთან;
- განივითაროს ემოციური ინტელექტი.

აქვე ისმის კითხვა - რა გზით შეიძლება ფილმის გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის? ძირითად შემთხვევაში, ფილმი ასოცირებულია გართობისა და განტვირთვის ინსტრუმენტთან. ბავშვები, განსაკუთრებით კი მოზარდები, საათებს ატარებენ ფილმებისა და ანიმაციური ფილმების ყურებაში, რადგან მოზარდებს ფილმი აძლევთ სხვადასხვა პერსონაჟთან თვითიდენტიფიცირების საშუალებას.

მედიის გასალები

საკლასო ოთახში ფილმის შემოტანა ცვლის სასწავლო გარემოს და ეს შესაძლებელია, უფრო ეფექტურიც აღმოჩნდეს, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით სწავლება.

საკმაოდ ბევრი მშობელი და მასწავლებელი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვები დიდ დროს ატარებენ ეკრანთან, თუმცა ეკრანთან გატარებული დროის პროდუქტიულად გამოყენებაც შეიძლება. იმისთვის, რომ ეს დრო პროდუქტიულად იყოს გამოყენებული, მნიშვნელოვანია მოზარდისთვის სწორად შევარჩიოთ ფილმი.

ფილმის სწორად შერჩევა მოიცავს როგორც შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიის ფილმის შერჩევას, ასევე ფილმის დადებითი შინაარსისა და სადისკუსიო საკითხების შესახებ ინფორმაციის მოძიებას.

ზუსტად ამას გვთავაზობს კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებული ახალი პროექტი - მედიის გასალები. მედიის გასალები ფინური ონლაინ სერვისის - MEDIA AVAIN მაგალითზე შექმნილი სარეიტინგო პლატფორმაა მშობლებისთვის, მასწავლებლებისა და მოზარდებისთვის, რომელიც ეხმარება ახალგაზრდა მაყურებლებსა და ზრდასრულებს, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეარჩიონ შესაბამისი მხატვრული ფილმი ან ანიმაცია და გაეცნონ ფილმის შესახებ ინფორმაციასა და საინტერესო ფაქტებს.

პროექტის მთავარი მიზანია, ხაზი გაუსვას ფილმის დადებით შინაარსს, მომხმარებლებს დაეხმაროს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში და ხელი შეუწყოს მოზარდებში მედიაწიგნიერების უნარების, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას. პლატფორმა ეხმარება მასწავლებლებს ფილმებისა და აუდიო-ვიზუალური წიგნიერების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში.

მედიის გასალები მოზარდებს ფილმის უარყოფითი ზეგავლენისგან იცავს - ერთი მხრივ, თავად მშობელს, ან მასწავლებელს ექმნება შესაძლებლობა შეარჩიოს შესაფერისი ფილმი ახალგაზრდა მაყურებლებისათვის, მეორე მხრივ კი, თავად მოზარდებიც შეძლებენ აირჩიონ მათთვის საინტერესო პროდუქტი.

პლატფორმაზე მოცემულია ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის ფილმების რეკლამებსა და ასაკობრივ შეზღუდვებში ასახული. დაინტერესებული მომხმარებელი შესაძლებელია გაეცნოს ფილმის შესახებ მოკლე ინფორმაციას, საინტერესო ფაქტებს, ფილმის დადებით შინაარსსა და სადისკუსიო კითხვებს.

ვებ-გვერდზე განთავსებულია როგორც ქართული, ისე უცხოური ფილმების ჩამონათვალი და მათი შეფასებები, რომელიც საინტერესოა არა მხოლოდ ახალგაზრდა მაყურებლისთვის, არამედ ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლისათვის. ფილმის შეფასებასა და სადისკუსიო კითხვების მომზადებაში ჩართულნი იყვნენ პროფესიონალი ფსიქოლოგები, კინომცოდნე და რეჟისორი. ასაკობრივი შეზღუდვები მოცემულია ფილმების კლასიფიკაციის ბრიტანული საბჭოს (BBFC) შეფასების სისტემაზე დაყრდნობით.

ფილმებით სწავლების პროცესი

სწავლების პროცესი შესაძლებელია კონცენტრირდეს მედიაწიგნიერების განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე.
მას შემდეგ, რაც მოსწავლეებთან ერთად უყურებთ შესაბამის ფილმს, ჩამოთვალეთ ფილმის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შესაძლოა დამაბნეველი იყოს ახალგაზრდა მაყურებლისთვის.
ფილმის ყურების შემდეგ ისაუბრეთ ამ თემებზე. თქვენ შეგიძლიათ დასვათ კითხვები, ან დაიხმაროთ სტატიები და კვლევითი ნაშრომები.
მედიაწიგნიერება დაკავშირებულია ყველა ტექნიკურ, კოგნიტურ, სამოქალაქო და შემოქმედებით შესაძლებლობასთან, რომელიც უზრუნველყოფს მედიის ხელმისაწვდომობას, მის კრიტიკულ გააზრებასა და მასთან ინტერაქციას. ეს შესაძლებლობები გვაძლევს კრიტიკული აზროვნების და პარალელურად, საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებში მონაწილეობის, დემოკრატიულ პროცესებში აქტიური როლის შესრულების საშუალებას. იმისთვის, რომ აღნიშნული უნარი და კომპეტენციები განვითარდეს, მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიმართულებაზე კონცენტრირება, რის შესანიშნავ საშუალებასაც გვაძლევს ზუსტად ფილმების გამოყენება. აღნიშნული გზამკვლევი შეეცდება მიმოიხილოს რამდენიმე მათგანი.



ისტორიის სწავლება

საქართველოს სკოლებში აღარ არის სიახლე დოკუმენტური, ისტორიული ფილმების გამოყენება ისტორიის სწავლების პროცესში, თუმცა ფილმებით ისტორიის სწავლებისთვის შესაძლებელია არა მხოლოდ დოკუმენტური და ისტორიაზე კონცენტრირებული ფილმების გამოყენება, არამედ პოპულარული ფილმების გამოყენებაც. ქვემოთ მიმოხილულია სხვადასხვა მაგალითი, თუ რომელი ფილმების გამოყენება არის შესაძლებელი ისტორიის სწავლების პროცესში და რა დავალებები შეგვიძლია მივცეთ მოსწავლეებს კონკრეტული ფილმის ნახვის შემდგომ:

ჰარი პოტერი

რომელი ისტორიული ეპოქა გახსენდებათ, როდესაც უყურებთ ჰარი პოტერის ფილმებში ასახულ ბრძოლას?
რომელ ისტორიულ პერსონაჟსა და ვოლდემორს შორის შეგიძლიათ პარალელის გავლება?
რა სხვაობაა მასსა და ვოლდემორს შორის? რა მსგავსებაა?
საშინაო დავალება: მოიძიეთ მეორე მსოფლიო ომისა და ჰიტლერის შესახებ ინფორმაცია, მოამზადეთ დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება ისტორიულ ფაქტებსა და ფილმს შორის მსგავსება და განსხვავება

ტროა

გსმენიათ ტროას ომის შესახებ?
რა სხვაობა და მსგავსებაა ფილმში ასახულ მოვლენებსა და რეალურ ისტორიას შორის?
რომელი ცნობილი ფრაზა უკავშირდება ტროას ომს და რას ნიშნავს ის?
საშინაო დავალება: მოიძიეთ ინფორმაცია ტროას ომის შესახებ და მოამზადეთ დოკუმენტი, სადაც მოსწავლე შეადარებს ფილმსა და რეალურ მოვლენებს, ასევე, მიუთითებს, რომელი პერსონაჟები არ არიან ფილმში მოცემული, რომლებსაც გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდათ ისტორიაში.

გრძელი ნათელი დღეები

საქართველოს უახლესი ისტორიის რომელ პერიოდს ასახავს ფილმში მიმდინარე მოვლენები?
რა შეიცვალა დღეს და რა დარჩა უცვლელი?
რომელმა ისტორიულმა და სოციალურმა მოვლენებმა განაპირობეს ეს ცვლილები?
საშინაო დავალება: ჩაატარეთ ინტერვიუები თქვენს მშობლებთან, ბებიებთან და ბაბუებთან ფილმში ასახული კონტექსტის შესახებ და მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოს 90-ანი წლების ისტორიის თობაზე. რა მსგავსებასა და სხვაობას პოულობთ ისტორიასა და ფილმში მოცემულ კონტექსტს შორის?

მანდარინები

რომელ ისტორიულ მოვლენებს შეეხება ფილმში ასახული პერიოდი?
რატომ მტრობენ ახმედი და ნიკა?
ნიკა, ახმედი და ივო რომელ მხარეებს განასახიერებენ?
საშინაო დავალება: მოიძიეთ ინფორმაცია 1992-1993 წლებში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ, რა სხვაობასა და მსგავსებას ხედავთ ფილმში მოცემულ მოვლენებსა და ისტორიას შორის?

შესაბამისად, სწავლების პროცესში შესაძლებელია სხვადასხვა ჟანრის ფილმის გამოყენება და არა მხოლოდ ისტორიულის ან დოკუმენტურის.

სწავლება მედიაზე

ფილმის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების განვითარების მიზნით, ან ისტორიის სწავლების პროცესში, არამედ მისი გამოყენება არის შესაძლებელი მედიაწიგნიერების კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისთვის. მედიაწიგნიერების მიმართულების სწავლების კონტექსტში ძირითადი კონცენტრაცია კეთდება მედიით სწავლების ფენომენზე, თუმცა კომპეტენციების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვიზუალური სტიმულების გამოყენება სწავლების პროცესში, არამედ აუდიო-ვიზუალური სტიმულების შექმნის სწავლებაც. მედიაწიგნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მედიის შესახებ სწავლებაც.
მედიის შესახებ სწავლებისთვის ფილმის გამოყენება, არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რადგან მოსწავლეებისთვის სახალისო და სასიამოვნოა მათთვის საყვარელი ფილმების მაგალითზე დამატებითი ინფორმაციის მოძიება და სწავლა.
საკლასო ოთახში ფილმის ყურების დასრულების შემდგომ, შეგვიძლია მოსწავლეს დავუსვათ სხვადასხვა კითხვა:

1. როგორ არის შესაძლებელი ფილმის დიდ ეკრანზე ყურება? რომელი მოწყობილობები არის საჭირო იმისთვის, რომ ფილმს დიდ ეკრანზე ვუყუროთ?
2. რომელი ტექნიკის გამოყენებაა შესაძლებელი ფილმის გადასაღებად?
3. როგორ ხდება ფილმის მონტაჟი?
4. გსმენიათ თუ არა "Deep Fake" ტექნოლოგიაზე? როდის და რატომ შეიქმნა ის?



საშინაო დავალება:

მოსწავლეებს შეგვიძლია მივცეთ სხვადასხვა საშინაო დავალება იმისთვის, რომ მეტი ინფორმაცია მოაგროვონ იმ პროცესზე, რომელიც საჭიროა ფილმის შესაქმნელად. მაგალითად:

- გადაიღეთ მოკლემეტრაჟიანი ფილმი - გაინაწილეთ როლები და ფუნქციები (რეჟისორი, პროდუსერი, მემონტაჟე, მსახიობი და ა.შ), შეადგინეთ სცენარი, გადაიღეთ სცენები, დაამონტაჟეთ და წარმოადგინეთ 1 კვირაში
- გადაიღეთ შავ-თეთრი, მუნჯური ფილმი - გაინაწილეთ როლები და ფუნქციები (რეჟისორი, პროდუსერი, მემონტაჟე, მსახიობი და ა.შ), შეადგინეთ სცენარი, გადაიღეთ სცენები, დაამონტაჟეთ და წარმოადგინეთ 1 კვირაში
- მოიძიეთ ინფორმაცია ფილმის გადაღების ტექნოლოგიასა და ტექნიკებზე, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ფილმი გადავიღოთ?
- მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად, მიეცით სხვადასხვა დავალება:
- ჯგუფი 1: მოიძიეთ ინფორმაცია მსოფლიოში პირველად გადაღებული ფილმის შესახებ, რომელ წელს შეიქმნა ის, რომელ ქვეყანაში, რა ფილმია, როგორ გადაიღეს ფილმი და ა.შ.
- ჯგუფი 2: მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში პირველად გადაღებული ფილმის შესახებ, რომელ წელს შეიქმნა ის, რა ფილმია, როგორ გადაიღეს ფილმი და ა.შ.
- ჯგუფი 3: მოიძიეთ ინფორმაცია, როგორ განვითარდა ფილმის გადაღებისა და მონტაჟის ტექნიკა და ტექნოლოგია და მოამზადეთ შედარებითი ანალიზი წლების მიხედვით





მარკეტინგი

ფილმი ბევრი მარკეტინგული კომპანიის მიერ, კომერციული მიზნებისთვის გამოიყენება. ფილმში ფარულად მოცემული მარკეტინგული და სარეკლამო გზავნილები გავლენას ახდენს მაყურებელზე ქვეცნობიერად, კონკრეტული პროდუქტის არჩევისას. აუხსენით მოსწავლეებს, როგორ ხდება რეკლამის გამოყენება ფილმებში და სთხოვეთ გაიხსენონ კონკრეტული მაგალითები.
დაუსვით მოსწავლეებს კითხვა - ფილმში შეუნიშნავთ თუ არა, რომ რომელიმე პერსონაჟი კონკრეტული ბრენდის ყავას, ალკოჰოლურ სასმელს ან გაზიან სასმელს სვამს? და მოუხდენია თუ არა ამას გავლენა მათზე? თხოვეთ გაიხსენონ შემთხვევები, როდესაც მათზე ზეგავლენა იქონია კონკრეტული ფილმის პერსონაჟის მიერ პროდუქტის გამოყენებამ.
მარკეტინგული შინაარსის კადრების გამოყენება ხშირია სხვადასხვა ფილმში, თუმცა მაგალითისთვის ჩამოვთვლით რამდენიმეს:

1. მარტო სახლში
2. სუპერმენის დაბრუნება
3. ჩემი ცოლის დაქალები და სხვა



საშინაო დავალება: უყურეთ ფილმს „მარტო სახლში“ და მოამზადეთ პროგრამა Power Point-ში პრეზენტაცია - კონკრეტული ბრენდების რეკლამების გამოყენების შემთხვევები ფილმში.

კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების განვითარება

გაკვეთილის ფარგლებში, ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა კრიტიკული და დამაფიქრებელი კითხვები, რათა მოსწავლეები დაფიქრდნენ ფილმის მნიშვნელობაზე უშუალოდ მათ და საზოგადოების ცხოვრებაში. მაგალითად:

- რატომ არის ფილმი პოპულარული მთელს მსოფლიოში?
- როგორ არის შესაძლებელი ფილმის გამოყენება სხვადასხვა მიზნისთვის: მარკეტინგი, პროპაგანდა, ზეგავლენის მოხდენა და სხვა?
- რომელია თქვენი საყვარელი ფილმი? თქვენი აზრით, რატომ არის ეს ფილმი თქვენი საყვარელი? რომელი მთავარი გზავნილები არის მოცემული თქვენს საყვარელ ფილმში?

ხელი შეუწყვეთ დისკუსიას და კლასის სხვა მოსწავლეებსაც ჰკითხეთ, ეთანხმებიან თუ არა გაჟღერებულ მოსაზრებებს და რატომ.

ფილმების გამოყენება სხვადასხვა საგანში

გავრცელებულია მოსაზრება, რომ ფილმის გამოყენება სწავლების პროცესში შეუძლია მხოლოდ კონკრეტული საგნების მასწავლებლებს, თუმცა ეს არ არის რეალობა. ფილმის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დისციპლინის მასწავლებლის მიერ, მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე დისციპლინას:

მათემატიკა
"21"

ფილმი „21" არის საინტერესო თავგადასავალი მოზარდებზე, რომლებმაც კარგად იციან მათემატიკა და ალბათობასა და მათემატიკურ გამოთვლებს იყენებენ კარტის თამაშისას.
საშინაო დავალება: მიეცით მოსწავლეებს დავალება მოიფიქრონ სხვადასხვა სფერო, სადაც შესაძლებელია მათემატიკის გამოყენება და სთხოვეთ დეტალურად დასახონ ის გზები, რომელიც მათ მიზნის მიღწევაში დაეხმარებათ.
არ შეზღუდოთ მოსწავლეები საკითხებში, შესაძლებელია მათ მაგალითად ისევ კარტის თამაში გამოიყენონ.

ისტორია
"ღამე მუზეუმში"

ფილმი ღამე მუზეუმში ეხება მუზეუმის მცველ ლარის, რომლის სამუშაოც არის საკმაოდ უცნაური და მას უწევს ბევრ ისტორიულ და მითოლოგიურ პერსონაჟთან შეხვედრა.
საშინაო დავალება: სთხოვეთ მოსწავლეებს მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ფილმში არსებული პერსონაჟების შესახებ და გააკეთონ მოხსენება მომდევნო გაკვეთილისთვის. გაავლონ ფილმსა და რეალურ ისტორიას შორის პარალელები.

ქართული
"ნატვრის ხე"

ფილმი ნატვრის ხე მოგვითხრობს მარიტას ისტორიას, რომელიც საზოგადოების გაკიცხვის ობიექტი გახდა.
საშინაო დავალება: დაავალეთ მოსწავლეებს ნაწარმოების წაკითხვა და სთხოვეთ მოამზადონ განსხვავებებისა და მსგავსებების დოკუმენტი, რომელშიც დააფიქსირებინეთ მათი აზრი ნაწარმოებსა და ფილმში მომხდარ მოვლენებზე.

ფიზიკა ან ქიმია
"ფორსაჟი"

ფილმი ნატვრის ხე მოგვითხრობს მარიტას ისტორიას, რომელიც საზოგადოების გაკიცხვის ობიექტი გახდა.
საშინაო დავალება: დაავალეთ მოსწავლეებს ნაწარმოების წაკითხვა და სთხოვეთ მოამზადონ განსხვავებებისა და მსგავსებების დოკუმენტი, რომელშიც დააფიქსირებინეთ მათი აზრი ნაწარმოებსა და ფილმში მომხდარ მოვლენებზე.

კომუნიკაციების
კომისია